BAG ინდექსი

დასაქმების ბარომეტრი

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

MPC Research

II კვარტალი 2022

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ [1].

2022 წლის II კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 27.7 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია როგორც 2021 წლის II კვარტალთან შედარებით (0.3 ქულით), ასევე, წინა - 2022 წლის I კვარტალთან შედარებით (2.8 ქულით).



გრაფიკი 1: BAG დასაქმების ბარომეტრი

2022 წლის II კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი მშენებლობის სექტორის გარდა (10.2 ქულით შემცირდა), გაუმჯობესდა ყველა სექტორში. აღსანიშნავია, მრეწველობის სექტორი, სადაც დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი 10.6 ქულით არის გაუმჯობესებული (იხილეთ გრაფიკი 2).

2022 წლის II კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, მრეწველობის, მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორებში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლის გაუმჯობესება შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამ სექტორებში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.

[1] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც ,,მზარდი'', ,,სტაბილური'' ან ,,კლებადი''. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების – ,,მზარდი''-სა და ,,კლებადი''-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს –100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

ცხრილი 1: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021	II კვ. 2021	III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5	-23.5	2.8	18.2	21.6	25.0	32.4	**34.3**
მომსახურება	14.6	-41.7	0.0	-5.0	-8.0	17.6	34.8	-2.3	11.1	15.6	**19.6**
მრეწველობა	11.1	-25.0	0.0	16.7	20.0	17.6	33.3	21.4	21.4	29.4	**40.0**
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3	-33.3	30.8	12.5	27.3	50.0	37.5	**27.3**
BAG	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7	27.4	11.7	20.5	24.9	**27.7**



გრაფიკი 2: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

+995 32 2 202-215

info@bag.ge

Business Association of Georgia

www.bag.ge